ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ!
ეროვნული თავისუფლების გზით ეროვნული თავისუფლებისაკენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 10 (1411)

29 მარტი, 1995 წ.

გაზეთ «საქართველოს» სპეციალური ნომერი

პოლიტიკოსები და ფეხბურთი

დღეს დიდი ფეხბურთია, პროფესიონალების ფეხბურთი. საქართველოს გუნდს გამარჯვებას ვუსურვებთ. ამასთანავე, რახან ჩვენ პროფესიონალთა ფეხბურთზე წერა დილეტანტობის გამო არ ძალგვიძს, გთავაზობთ რეპორტაჟს პოლიტიკოსთა მიერ დღეს გამართული მატჩიდან, რომელიც შედგა „იმელის" სტადიონზე.

ერთმანეთს ხვდებოდნენ

ოპოზიციის „იბერია" და

უმრავლესობის „შევარდენი-ცსკა".

თამაშის მომლოდინე მაყურებელს ამ რეპორტაჟით ვფიქრობთ ცოტა გავახალისებთ.

რეპორტაჟი იხილეთ მე-4 გვერდზე.

ახლა კი გუნდების შემადგენლობის შესახებ.

მ. აბაშიძის ნახატი

ოპოზიციის «იბერია»

1. გოლ-სპიკერი რუსუდან ბერიძე

დაცვა —

№2 ვახტანგ ძაბირაძე,

№3 ვახტანგ ხმალაძე,

№4 თამაზ დიასამიძე

ნახევარდაცვა —

№5 ივლიანე ხაინდრავა,

№6 ირინა სარიშვილი-ჭანტურია

თავდასხმა —

№7 დავით ბერძენიშვილი,

№8 თენგიზ სიგუა,

№9 ნოდარ ნათაძე (გუნდის კაპიტანი)

№10 ირაკლი წერეთელი,

№11 ლუიზა შაკიაშვილი

სათადარიგო სკამზე:

№12 თამარ ჩხეიძე,

№13 ბორის კაკუბავა,

№14 მამუკა გიორგაძე

№15 აკაკი ასათიანი

გუნდის ექიმი — ზურაბ მურვანიძე

მასაჟისტი — პაატა კოლუაშვილი

გუნდის მწვრთნელი — გუნდს მწვრთნელი არ ჰყავს.

უმრავლესობის «შევარდენი-ცსკა»

1. გოლკიპერი ედუარდ შევარდნაძე (გუნდის კაპიტანი)

დაცვა —

№2 გურამ მამულია,

№3 ნესტან კირთაძე,

№4 ნანა დევდარიანი,

№5 მანანა გიგინეიშვილი,

№6 ზურაბ ჟვანია,

№7 ქართლოს ღარიბაშვილი,

№8 ელდარ შენგელაია,

№9 ჯანსუღ ჩარკვიანი.

ნახევარდაცვა —

№10 ვახტანგ რჩეულიშვილი,

თავდასხმა —

№11 გიგა ლორთქიფანიძე

სათადარიგო შემადგენლობა:

№12 ზურაბ წერეთელი (Золотой запас),

№13 ლევან მამალაძე (ტრამვირებული)

№14 ლექსო კობაიძე,

№15 აკაკი ასათიანი,

გუნდის ექიმი — ვიქტორ ლორთქიფანიძე

გუნდის მასაჟისტი — იზა ორჯონიკიძე

გუნდის მწვრთნელი — პაველ გრაჩოვი

სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტართა პროგნოზები დღევანდელი მატჩის შესახებ

ნოდარ ნათაძე:

პრობლემა გადაჭრადია. გერმანია დამარცხებადია. ჩვენი გამარჯვება ცალსახად პროგნოზირებადია.

აკაკი ასათიანი:

ბურთი მრგვალია. ან მოვიგებთ, ან წავაგებთ; შეიძლება ფრედ დამთავრდეს. ისე, ჩვენ ფეხბურთში მოგვწონს ყველაფერი კარგი და არ მოგვწონს არაფერი ცუდი.

ჯანსუღ ჩარკვიანი:

ამას წინათ ერთმა ახუნტრუცებულმა დიაცმა დამირეკა და მომაწყევლა: წადი, წადი სტადიონზე ჯანსუღ ჩარკვიანო, ნახე შენი საყვარელი ხუნტის ნაკრები როგორ სამარცხვინოდ ჩაფლავდებაო!... რა ხდება ხალხო! სადამდე უნდა მივიდეს გაბოროტება, ღვარძლი, ბოღმა!... როდის მოეღება ამას ბოლო! ძალიან გაგულავდნენ, აი!...

ედუარდ შევარდნაძე:

აქ ძნელია ლაპარაკი, ვინ მოიგებს, ვინ წააგებს, მთავარია, რომ ის ინტეგრაციული პროცესები, რომელიც დაიწყო ჩვენი გუნდის საერთაშორისო სარბიელზე გასვლით — შეუქცევადი გახდეს. საჭიროა ურთიერთობების გაღრმავება ჩვენს მეზობლებთან და პირველ რიგში, რასაკვირველია, რუსეთთან, რამეთუ ამ მატჩის გასაღები — მოსკოვში დევს.

ოპოზიცია „იბერია“

მწვრთნელი არა ყავს.



უმრავლესობა „ფეოლრდენი-ცხინვ“


ასე თამაში ანაკონსტრ-ცესუტია
ფეხბურთ მაგიან!
ბოხოლომ ბოხოლომ
ბ
ბ
ბ

რეპორტაჟი «იმელის» სტადიონზე გამართული მატჩიდან

დღეს, „იმელის“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს პარლამენტის ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. ერთმანეთს ხვდებოდნენ ოპოზიციის „იბერია“ და უმრავლესობის „შევარდენი-ცსკა“.

მატჩის წინ, მიმომხილველები უმრავლესობის გუნდს უწინასწარმეტყველებდნენ გამარჯვებას. აღინიშნებოდა, რომ „იბერიას“ აშკარად აკლია მწვრთნელის ხელი. ისინი მეტისმეტად ინდივიდუალურად თამაშობენ და ხშირად არ ესმით ერთმანეთის. „შევარდენი-ცსკა“ კი ფიზიკურად კარგად მომზადებული, გუნდის კაპიტნის ირგვლივ შეკრული კოლექტივია. და თუმცა ინდივიდუალური ოსტატობით ჩამოუვარდებიან „იბერიელებს“, სამაგიეროდ მათი ტაქტიკური უპირატესობა აშკარაა.

თამაშის დაწყებამდე თხუთმეტი წუთით ადრე გაირკვა, რომ „იბერიელთა“ შორის ვერ ითამაშებდა თეიმურაზ ჟორჟოლიანი, რომელიც თურმე უცნობმა პირებმა გააფრთხილეს ტელეფონით: თამაშის დროს შეიძლება მძიმე ტრავმა მოგაყენონო. უფრო ადრე გამოაკლდათ ოპოზიციონერებს გიორგი ხავთასი, მსაჯებთან კამათისთვის ზედიზედ ორი გაფრთხილების გამო.

უმრავლესობის გუნდი სრული საბრძოლო შემადგენლობით გამოცხადდა. ოღონდ უკანასკნელ მომენტში მათი განაპირა მცველი ადა მარშანია, რომელმან იხილა რა „იბერიელთა“ „მძიმე არტილერიის“, კარდენახელი ლეგიონერის, ლუიზა შაკიაშვილის წინასამატჩო „მოთელვა“, შეუძლოდ გახდა და სასწრაფო სამედიცინო დახმარება დაჭირდა...

„იბერიამ“ ყოველგვარი დაზვერვის გარეშე, პირველივე წუთიდანვე შეუტია უმრავლესობის კარს, რომელსაც მრავალნაცადი გოლკიპერი, საზღვარგარეთის წამყვან კლუბებში ნათამაშევი ედუარდ შევარდნაძე იცავდა. უმრავლესობამ ამას დაუპირისპირა ყრუ დაცვის მრავალგზის აპრობირებული ტაქტიკა: წინ წაწეული ერთადერთი ფორვარდი, გიგა ლორთქიფანიძე კი ძირითადად იმით იყო დაკავებული, რომ ხმამაღლა აპროტესტებდა „იბერიელთა“ სასარგებლოდ არბიტრის ყოველ გადაწყვეტილებას. კონტრშეტევების ორგანიზება გუნდის დირიჟორმა, ვახტანგ რჩეულიშვილმა ითავა.

პირველი სახიფათო მომენტი შევარდნაძის კართან უკვე მე-3 წთ-ზე შეიქმნა. დიასამიძე-ბერძენიშვილის კომბინაციამ აბაშიძე-გიორგაძის დაპირისპირების თემაზე მოწინააღმდეგეთა რიგებში მცირე არევ-დარევა შეიტანა. მცველების დასახმარებლად გიგა ლორთქიფანიძეც ჩამოვიდა უკან, ჩაჭრა გადაცემა და წამოიწყო სოლო რეიდი აჭარაში გამეფებული სტაბილურობის დამრღვევთა მოტივებზე, მაგრამ წინ წაწევა ვერ შესძლო. თამაზ დიასამიძე ენერგიულად ჩაუხტა ფეხებში: „მორჩი ახლა დემაგოგიას, გეტყობა ნაქეიფარი ბრძანდებიო“, აართვა ბურთი და დაჰკიდა საჯარიმო მოედნის შუაგულში. თუმცა თავდამსხმელებმა დააყოვნეს და შევარდნაძის კარიც გადაურჩა ხიფათს.

მე-5 წთ-ზე ირინა სარიშვილი-ჭანტურიამ ოსტატურად განავითარა გიორგაძის თემა. მშვიდად აუარა გვერდი რჩეულიშვილს, გასცდა მცველებსაც და გავიდა მეკარესთან პირისპირ. მისი დარტყმა შევარდნაძემ ვერ მოიგერია, მაგრამ კვლავ რჩეულიშვილი აღიმართა ყრუ კედელივით...

მე-12 წთ-ზე ნათაძის გარღვევა რჩეულიშვილმა აკრძალული ილეთით შეაჩერა. მსაჯის სასტვენი დუმდა.

ორი წუთის შემდეგ რჩეულიშვილმა ოპოზიციის კარის სიახლოვეს მანანა გიგინეიშვილი მოსძებნა, რომელიც ზედმეტად გაერთო ფინტებით და ბოლოს საკუთარ კარში გაგზავნა ბურთი. გამოცდილი შევარდნაძე დროზე ჩაერთო თამაშში, არ დაახანა გამოსვლა და სასწრაფოდ განმუხტა დაძაბულობა. შაკიაშვილი შეეცადა ხელი შეეშალა მისთვის, მაგრამ არბიტრმა დააჯარიმა მეკარეზე თავდასხმისათვის და ყვითელი ბარათიც უჩვენა.

26-ე წთ-ზე ნოდარ ნათაძის მიერ წამოწყებული შეტევა სამხედრო ბაზების თაობაზე აიტაცა ირაკლი წერეთელმა. მარცხენა ფლანგიდან შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ხმამაღალი ყიჟინით: „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია!“ ძლიერად დაარტყა. ბურთი დიდი მანძილით აცდა კარს.

ანგარიში გაიხსნა მე-40 წთ-ზე, როცა არბიტრმა შეახსენა მოთამაშეებს, რომ პირველი ტაიმის დამთავრებამდე სულ ხუთი წუთი დარჩა. ოპოზიციონერები კიდევ რამდენიმე წუთის დამატებას ითხოვდნენ; მათი აზრით, თამაში ხშირად ჩერდებოდა ჯანსუღ ჩარკვიანისა და ნანა დევდარიანის მხრიდან მძიმე სულიერი ტრავმის სიმულაციის გამო. აგრეთვე მოითხოვდნენ მეკარის გაფრთხილებას, აქაოდა შევარდნაძეს დრო გაჰყავსო, და თავისუფალ საჯარიმო დარტყმას. მაგრამ არბიტრის გადაწყვეტილება ურყევი იყო. ამ არეულობით ისარგებლა რჩეულიშვილმა, სწრაფად გაითამაშა ჟვანიასთან ორსვლიანი კომბინაცია და მოჭრილი დარტყმით: „არსებული რეგლამენტის მიხედვით, თქვენ ამის უფლება არა გაქვთ!“ გახსნა ანგარიში. „იბერიელთა“ პროტესტებს, რჩეულიშვილი აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებოდაო, მსაჯმა ყურადღება არ მიაქცია.

შესვენების შემდეგ „იბერიამ“ ნამდვილი შტურმი მოაწყო, თუმცა უშედეგოდ. დამცველები შევარდნაძის წინააღმდეგ წამოსულ ყოველ დარტყმას თავის თავზე იღებდნენ და ბურთმა ვერცერთხელ ვერ მიაღწია კარამდე.

50-ე წთ-ზე ლუიზა შაკიაშვილი ჯიჭურ შეიჭრა საჯარიმო მოედანზე, მიფანტ-მოფანტა მცველები, ფინტების კასკადით თავბრუ დაახვია გურამ მამულიას, დასცა ძირს და ალბათ ბოლომდე გადაუვლიდა კიდეც და გოლიც გარდუვალი იქნებოდა, მაგრამ მსაჯმა სახიფათო თამაში დააფიქსირა და დააჯარიმა თავდამსხმელი.

61-ე წთ-ზე „იბერიელთა“ კაპიტანმა ნოდარ ნათაძემ ინდივიდუალური შეტევა წამოიწყო რუსეთის სამხედრო ბაზებზე. შევარდნაძემ მოულოდნელად გულის ტკივილი მოიმიზეზა და კარი მიატოვა. ნათაძე შევიდა საჯარიმო მოედანზე. აბსოლუტური იგნორირება მოახდინა რჩეულიშვილისა, რომელიც უკნიდან სარმის დადებით ცდილობდა ცენტრფორვარდის წაქცევას, ყური არ ათხოვა დამცველთა პანიკურ შეძახილებს, ბაზების შესახებ ხელშეკრულების პუნქტობრივი განხილვით ზედიზედ აუარა მათ გვერდი და ბურთიანად შევიდა ცარიელ კარში. არბიტრმა გოლი არ ჩათვალა. „იბერიელთა“ ცხარე პროტესტების საპასუხოდ კი განაცხადა: როცა შევარდნაძე გავიდა, მე დავუსტვინე, მაგრამ თქვენ იმხელას ხმაურობდით, ეტყობა ვერ გაიგონეთო. იქვე ელდარ შენგელაიამაც დაადასტურა, რომ გოგუაძემ ნამდვილად დაუსტვინა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

73-ე წთ-ზე კი ედუარდ შევარდნაძემ პირდაპირ კარიდან, ხელით გადაუგდო ბურთი წინ გაჭრილ ნესტან კირთაძეს, რომელმაც მიიღო გადაცემა, მოატყუა სიგუა და ღიმილით ჩაახვია: „გილოცავთ რვა მარტსო“. მეკარე რუსუდან ბერიძე უძლური იყო. ანგარიში გახდა ორით ნოლი.

77-ე წთ-ზე თენგიზ სიგუას ნაცვლად მინდორზე ბორის კაკუბავა შემოვიდა, რაც საბედისწერო გამოდგა „იბერიელებისთვის“. სწორედ კაკუბავამ წამოიწყო საკმაოდ ავანტიურული იერიში: „თქვენ ყველა მოლაპარაკეები ხართ და ხალხი გაგებსაბარათლებთო“, მაგრამ მერე უკან დაიხია, საკუთარი კარის სიახლოვეს დათმო ბურთი და ვახტანგ რჩეულიშვილის საპასუხო დარტყმის „ღორის ჭურდი იყავი, ღორის ჭურდად დარჩი“-ს შემდეგ ანგარიშში სხვაობა სამამდე გაიზარდა.

ოპოზიციის რიგებში აშკარა დაბნეულობამ დაისადგურა. ირინა სარიშვილი-ჭანტურია ამაოდ ცდილობდა გიორგაძის პათოლოგიური მიდრეკილებების მოტივებზე მიზანდასახული შეტევის ორგანიზებას. მატჩის მიწურულს ბერძენიშვილმა ხელსაყრელ პოზიციაში გაიყვანა ივლიანე ხაინდრავა. მაგრამ „იბერიელთა“ ნახევარმცველმა ძალზე დიდხანს ატარა ბურთი და რამდენჯერმე გაუშვა ხელიდან კარის აღების შანსი. მას წამოეშველნენ კაკუბავა და ნათაძე, აქ კი ვახტანგ რჩეულიშვილმა აშკარად დაარღვია თამაშის წესები: ჯერ ხელით ითამაშა, მერე კაკუბავა „მოცეცლა“ და ნათაძესაც სარმა დაუდო. ოპოზიციონერებმა რჩეულიშვილის თერთმეტმეტრიანით დასჯა მოითხოვეს, მაგრამ მსაჯმა პენალტი არ დანიშნა. ცენტრფორვარდმა ნათაძემ გაიწია რჩეულიშვილზე, მაგრამ საქმეში ჩაერიენ ძელის მილმა მიმალული მცველები და მდგომარეობა განმუხტეს.

ასე დამთავრდა ეს საინტერესო შეხვედრა. გაიმარჯვა უმრავლესობამ 3:0. ოპოზიციონერები ერთხანს მსაჯს ეკამათებოდნენ, მერე ხელი ჩაიქნიეს და მოედანი დატოვეს. მინდორზე კი „შევარდენი-ცსკა“-ს მწვრთნელი, პაველ გრაჩოვი გამოვიდა და მიულოცა გამარჯვებულებს დავალების პირნათლად შესრულება: **„Молодцы ребята, хорошо поработали“.**

მატჩის შემდეგ ოპოზიციის „იბერიამ“ მტკიცე პროტესტი განაცხადა უმრავლესობის „ცსკა“-ს მიერ აშკარა კანონდარღვევათა გამო. აქვე გთავაზობთ საპროტესტო განცხადების ტექსტს:

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს
ბ-ნ ბუტროს ბუტროს გალის
ფიფას პრეზიდენტს
ბ-ნ ჟოაო აველანჟს
მატჩის კომისარს
ბ-ნ ჯაბა იოსელიანს

გაცნობებთ რომ, „შევარდენი-ცსკა“-თან ჩატარებული მატჩი წარიმართა ჯერ არნახული დარღვევებით: ა) მსაჯი იფარგლებოდა მხოლოდ დამკვირვებლის ფუნქციით და თვალს ხუჭავდა მოწინააღმდეგის მხრიდან ყოველგვარ პროვოკაციაზე. ბ) მოწინააღმდეგის შემადგენლობაში ირიცხებოდნენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომელთაც არ ჰქონდათ უფლება მატჩში მონაწილეობის მიღებისა. (მაგ. ზ. წერეთელი, პროფესიით მხატვარი) გ) იმავდროულად ჩვენი მხატვარი, თ. კიტოვანი, უვადოდ იქნა დისკვალიფიცირებული და არ მიეცა თამაშის საშუალება. დ) „იბერიის“ მიერ გატანილი გოლი მსაჯმა არ ჩათვალა იმ მოტივით, რომ უკვე დაფშტვენილი ჰქონდა, რაც არ შეესაბამება სინამდვილეს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოვთქვამთ მტკიცე პროტესტს და მოველით თქვენგან ქმედით დახმარებას.

ოპოზიციის „იბერია“

გაერის გენერალური მდივნის ბ-ნი ბუტროს ბუტროს გალის პასუხი ოპოზიციის „იბერიისადმი“

მაქვს პატივი გაუწყოთ პირადად ჩემი კეთილმეგობრული დამოკიდებულება თქვენი გუნდის მიმართ. თქვენს პროტესტს აუცილებლად განიხილავს უშიშროების საბჭოს სესია, რომელიც გაიმართება სამი თვის შემდეგ, ხოლო მომდევნო წლის გაზაფხულზე გამოიგზავნება ფაქტების დამდგენი კომისია.

პატივისცემით ბ.ბ. გალი

მატჩის კომისრის, ბ-ნ ჯაბა იოსელიანის რეზოლუცია „იბერიის“ პროტესტზე

თქვენ ფეხბურთის თამაში ლობიოობა ხომ არ გგონიათ? ვინც არ დაემორჩილება არბიტრის გადაწყვეტილებას, ადგილზევე იქნება ლიკვიდირებული!

რედაქტორი **ნოდარ ბრიგალაშვილი** | მისამართი: თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქუჩა №6 | ფასი 1000 რუბლი შ.კ. კუპონებში